საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/01

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უვადო პროფესორების ატესტაციის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლის 4¹ პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უვადო პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესის მე-2 მუხლის, „არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) მიმართულებით არჩეული პროფესორის მ.ჭიჭილეიშვილის პროფესორის უვადო სტატუსით გადაყვანის შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის №04-01/16 დადგენილებისა და „კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის მიმართულებით არჩეული პროფესორის ე. მესხიას პროფესორის უვადო სტატუსით გადაყვანის შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის №04-01/17 დადგენილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უვადო პროფესორების ატესტაცია.

2. ატესტაციას დაქვემდებარებული აკადემიური პერსონალია:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა) მაია ჭიჭილეიშვილი - პროფესორი;

ბ) ერმილე მესხია - პროფესორი.

3. ატესტაციის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2021 წლის 08 ნოემბრიდან 2021 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით, 10-დან 16-საათამდე, საპროცედურო კომისიაში (მის: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №103).

ბ) ატესტაცია (საატესტაციო კომისიის მიერ დოკუმენტაციის განხილვა) ჩატარდეს 2021 წლის 15 ნოემბერს;

გ) ატესტაციის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2021 წლის 17 ნოემბრისა.

4. ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება საატესტაციო კომისიის სახელზე ატესტაციაზე დაშვების თაობაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

დ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

ე) სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უვადო პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესის დანართი №1-ის შესაბამისად შევსებული ანკეტა და მასში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ცნობა, სერტიფიკატი, სიგელი და ა.შ).

5. ატესტაცია ჩატარდეს ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №04-01/33 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უვადო პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

6. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს და შესაბამის ფაკულტეტს.

7. დადგენილების ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთათვის გაცნობა დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს.

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ბხსუ-ს საინფორმაციო დაფაზე.

9. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**